ჩუნგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველანა!

ᲧᲝᲠᲮᲘᲗᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი № 14 16-31 ივლისი (9437) ფასი 40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის ამბები და მეჩიაში ჩაცარემული ღონისძიებები

წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაული სენაკში

მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, 7 ივლისს წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღე აღნიშნა. დღესასწაულთან დაკავშირებით, წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში, ეპარქიის სამღვდელოების მონაწილეობით, ლიტურგია აღევლინა. წირვას, მრევლთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი ოჯახით და მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია ესწრებოდნენ. სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემლის მშობლებს - მღვდელმთავარ ზაქარიასა და ელისაბედს სიბერის ასაკში შეეძინათ წმინდა იოანე. იერუსალიმის ტაძარში ღვთისმსახურების აღსრულებისას, ანგელოზმა მღვდელმთავარ ზაქარიას ამცნო, რომ მას ვაჟი შეეძინებოდა და იოანეს უწოდებდა. ყრმა იოანე უდაბნოში იზრდებოდა. იესო ქრისტეს გამოჩენამდე, იგი ხალხს სინანულისკენ მოუწოდებდა და მათ იორდანეს წყალში ნათლავდა. წმინდა იოანე ნათლისმცემელმა იცნო მისკენ მომავალი უფალი, რომელმაც მისგან ნათელიღო. უფლის წინამორბედი უზნეო საქციელის გამო ებრაელთა მეფე ჰეროდესაც ამხელდა. ჰეროდეს ბრძანებით წმინდა იოანე ნათლისმცემელს თავი მოჰკვეთეს. იოანე ნათლისმცემლის სახელობის დღესასწაულები სენაკში, მისსავე სახელობის საკათედრო ტაძარში, განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ ზემო თეკლათის დედათა მონასტერში დაბრძანებულია დიდი სიწმინდე - იოანე ნათლისმცემლის თითის ნაწილი, რომელსაც, წმინდანის სახელობით დღეებში, სასოებით ემთხვევიან მომლოცველები.

ა(ა)იპი-ების ხელმძღვანელები დღეს ექვსთვიანი ანგარიშით წარდგნენ

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მუშაობის ექვსთვიანი ანგარიში მოისმინეს. სხდომას მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, სამსახურების უფროსები და მუნიციპალიტეტის ბაზაზე შექმნილი ცენტრების დირექტორები ესწრებოდნენ. ცენტრების ხელმძღვანელებმა დეტალურად ისაუბრეს 6 თვის მანძილზე გაწეული მუშაობის, მომავალი საქმიანობის გეგმებისა და ხედვების შესახებ და უპასუხეს მერის შეკითხვებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ცენტრების საქმიანობის მთავარი მიზანი - მუნიციპალიტეტის, მისი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის ზრუნვა, მიიღწევა არსებული რესურსების გონივრული მობილიზებით, მუშაობის ხარისხის თვისობრივი გაუმჯობესებით, საქმისადმი პასუხისმგებლობით და ნოვატორული მიდგომებით.

მონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში



მუნიციპალიტეტის მერიის და ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციის ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლის მოსწავლეებმა, ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე, არქეოლოგიურ სამუშაოებში მიიღეს მონაწილეობა. ექსპედიციის წარმომადგენლების მეთვალყურეობით, ახალგაზრდები, არქეოლოგიურ თხრილებში თხრისა და მოპოვებული მასალის გასუფთავების სპეციფიკას უშუალოდ ეზიარნენ. პროექტის მონაწილე სენაკის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელები, ევროპის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებისა და სტუდენტების ხელმძღვანელობით, ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავების გარდა, მრავალფეროვან აქტივობებში არიან ჩართულები. ერთი თვის მანძილზე მიმდინარე პროექტის ბოლო აქტივობა იქნება ექსკურსია ქართველი და ბრიტანელი ახალგაზრდების მონაწილეობით.

ტრენინგი არქეოლოგიაში

მუნიციპალიტეტის მერიის და ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის ერთობლივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში, ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. განსაკუთრებული შთაბეჭდილებებით იყო დატვირთული სადამო, რომელიც არქეოლოგიას მიეძღვნა. პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნიკოლოზ მურღულიამ დია ცის ქვეშ, ნოქალაქევის ციხე-გოჯის ტერიტორიაზე, ჩაუტარა ტრენინგი არქეოლოგიაში. ექსპედიციის ხელძღვანელმა მათ გააცნო არქეოლოგიური გათხრების სპეციფიკა და ექსპედიციის მრავალწლოვანი კვლევების შედეგები. აღსანიშნავია, რომ პროექტში ჩართულ სენაკის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელებს, ერთი თვის განმავლობაში, ევროპის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები და სტუდენტები უტარებენ გაკვეთილებს ინგლისურ ენაში. ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავების გარდა, ახალგაზრდებს საშუალება აქვთ ჩაერთონ მრავალფეროვან აქტივობებში. ასევე, დაგეგმილია ექსკურსია სენაკელი და უცხოელი ახალგაზრდების ჩართულობით და ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ამასთან, ერთი დღე - არქეოლოგიურ გათხრებში მათ უშუალო მონაწილეობასაც დაეთმობა.

მატჩი ფეხბურთში არქეოლოგიური ექსპედიციისა და მერიის გუნდებს შორის

სენაკის სპორტის სასახლეში, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდებს შორის ამხანაგური მატჩი გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, არქეოლოგიური ექსპედიციისა და თვითმმართველობის წარმომადგენლები და ნოქალაქევის საზაფხულო სკოლაში ჩართული ახალგაზრდები ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, რომ თამაშში ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკოლოზ მურღულიაც მონაწილეობდა. მატჩი ანგარიშით - 1:0 - ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციის გუნდის უპირატესობით დასრულდა. გამარჯვებულ ფეხბურთელებს სიმბოლური თასი მუნიციპალიტეტის მერმა გადასცა.

ᲑᲐᲑᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ცირა ადამია

„ნუთუ მართლა აღარ დაბრუნდები,
ნუთუ მართლა განშორება იყო“.

წლები მიჰქრიან,სიყვარული კი არ ნელდება,პირიქით მონატრებამ კიდევ უფრო გაამძაფრა იგი. სანთელის ჩამონადვენთი შენს ცრემლებს გვაგონებს,იმ ცრემლებს, რომლებიც დიდი სიხარულის დროს ჩამოგედინებოდა ლამაზ ლოყებზე... სიხარულიც უსაზღვრო იცოდი და მწუხარებაც, ყველაფერს ზედმეტად განიცდიდი. გვაგონდება ის ბედნიერი წლები, როდესაც სცენაზე გაბრწყინებულს, სიხარულისგან მეცხრე ცაზე მყოფს გხედავდით. როგორ გიხაროდა ყოველი ახალი სპექტაკლი, როგორ თავდაუზოგავად შრომობდი, რომ კარგად გამოგსვლოდა შენი როლი, როგორ გიხაროდა, როცა მაყურებელი ტაშითა და ოვაციით გაცილებდა სცენიდან... როგორი დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორ გაგვფანტა, როგორ დაგვაშორა ერთმანეთს. წარსულ დღეებზე ფიქრი არ გვასვენებს, ყურში ჩაგვესმის შენი კისკისი, შენი ხმაურიანი, მხიარული საუბარი. რა დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი... შენ ხომ სიცოცხლე გიყვარდა, გიხაროდა. ყოველი დღის გათენება, ყოველი ახალი სპექტაკლი შენთვის დღესასწაული იყო,როდესაც ახალ როლზე დაგნიშნავდნენ ბედნიერებისაგან დაფრინავდი. როდესაც შენზე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებაში“ სტატია გამოქვეყნდა, შენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... ალბათ გრძნობდი,რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ გეწერა, ამიტომაც ჩქარობდი, გინდოდა ყველაფერი მოგესწრო,ბევრი როლი გეთამაშა. ყოველთვის კოხტად, ლამაზად გამოდიოდი სცენაზე და მაყურებელსაც უყვარდი, როგორც დახვეწილი გემოვნების, ნიჭიერი, შრომისმოყვარე მსახიობი.

ცირა, ჩვენი ცირა! ასე გეძახოდით თეატრში, ასე გიხსენებთ დღესაც. გვაკლია შენი ყურადღება, მზრუნველობა, ზოგჯერ გაბუტვა, ზოგჯერ წამიერი გაჯავრება და შენეული გიჟური სიყვარული.. გვაკლიხარ და გვენატრები,გიხსენებთ და ვერ დაგვიჯერებია შენი

წასვლა ამ წუთისოფლიდან.

ვფიქრობთ ერთად გატარებულ ბედნიერ დღეებზე და გვახსენდება ლექსის ეს სტრიქონები:

„წვიმს და შავად შენისლულან მთები,
წვიმს და წვიმამ აღარ გადაიღო
ნუთუ მართლა აღარ დაბრუნდები,
ნუთუ მართლა განშორება იყო“.

ცირა! იქნებ პირად ცხოვრებაში არ გაგიმართლა და ბედნიერი არასოდეს ყოფილხარ, მაგრამ შენ მაინც კმაყოფილი იყავი იმით, რომ შენს საყვარელ

საქმეს აკეთებდი, მაყურებლის სითბო და სიყვარული არასოდეს მოგკლებია. შენ კი არ მოკვდი,გარდაიცვალე, იმიერ საუფლოში გადახვედი, ახლა ალბათ ზეციდან დაგვყურებ და გიხარია, შენი სათაყვანებელი თეატრის წარმატება.

ჩვენო საყვარელო ცირა! გილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში გამყოფოს და სასუფეველი დაგიმკვიდროს. გჯეროდეს, რომ ჩვენ, შენი მეგობრები არასოდეს დაგივიწყებთ. ხშირად ამოვალთ შენს საფლავზე სანთლებს, ყვავილებს და გულწრფელ ცრემლებს არ მოგაკლებთ ...

გვიყვარხარ და ყოველთვის გვეყვარები.

მეგობრები

შოთა შალამბერიძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პიროვნება, ქართული ოჯახის თავკაცი,თაობების აღმზრდელი და დამკვალიანებელი შოთა მეთოს ძე შალამბერიძე.

დაიბადა 1933 წლის 4 ივლისს, სენაკის მაზრის სოფელ შხეფში, სადაც 1948 წელს დაამთავრა 8 წლიანი სკოლა.

1948-52 წლებში სწავლობდა ქ. ცხაკაიას სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე.

1956 წელს წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაციით. სტუდენტობისას იყო აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სტიპენდიანტი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის წევრი.

1956 წლიდან 2007 წლის იანვრამდე მუშაობდა ცხაკაიას(ამჟამად სენაკის) რაიონში:სოფელ ხორშის პირველი მაისის 8-წლიანი სკოლის ისტორიის მასწავლებლად, რაიონული გაზეთ „ავანგარდის” ლიტერატურულ მუშაკად. 1956 წლის 1 დეკემბრიდან 1959 წლის იანვრამდე-კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად, 1959-60 წლებში-სოფელ შხეფის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, 1960-62 წლებში პიონერთა სახლის დირექტორად, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების ინსპექტორად, 1962-66 წლებში-პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, დოსაფის ცხაკაიას და ჩხოროწყუს გაერთიანებული რაიკომის თავმჯდომარედ, რკინიგზის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებლად, რაისაბჭოს აღმასკომის უფროს ინსტრუქტორად, 1966-68 წლებში-ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის განთავისუფლებული პარტკომის მდივნად, 1968-70 წლებში რკინიგზის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, 1970 წლის იანვრიდან 1974 წლის თებერვლამდე- პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, საერთო განყოფილების გამგედ, 1974-75 წლებში-ახალსენაკის დაფნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, 1975-79 წლებში –რკინიგზის სკოლა-ინტერნატის დირექტორად, 1979-83 წლებში –№66 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორად, 1983-85 წლებში- ხალიჩების განთავისუფლებული პარტბიუროს მდივნად, 1985-90 წლებში –მეცხოველეობის სამეურნეოთაშორისო საწარმოს პარტკომის განთავისუფლებულ მდივნად, საწარმოს დირექტორად, 1990-93 წლებში-კოოპერატივების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარედ, 1993-2006 წლებში პროფსასწავლებლისა და სამედიცინო კოლეჯის ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და გეოგრაფიის მასწავლებლად, ამასთან შეთავსებით –სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის და სენაკის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტების საქართველოს ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად, დოცენტად, სოხუმის ინსტიტუტის პრორექტორად სასწავლო-საალმზრდელო დარგში.

1959-91 წლებში-იყო სკკპ(გაუქმებამდე) წევრი, 1968-70 და 1983-86 წლებში საქართველოს კპ. ცხაკაიას ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრი, 197075 წლებში-პარტიის რაიკომის წევრი, 1968-76 წლებში-საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯული, 1971-19885 წლებში ქალაქის საბჭოს დეპუტატი, 1958 წ. მეთაურობდა რაიონის ახალგაზრდულ ბრიგადას ყაზახეთის რესპუბლიკის კუსტანაის ოლქის ყამირ მიწებზე მოსავლის აღებისას.

მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება, მიღებული ჰქონდა მედალი „შრომითი წარჩინებისათვის”.

2007 წლიდან პენსიაზე იმყოფებოდა. ჰყავდა დიდი ოჯახი-მეუღლე, ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი.

შოთა შალამბერიძის გარდაცვალებამ დიდი ტკივილი მიაყენა ოჯახს, ახლობლებს, ნაცნობ-მეგობრებს.

ნათელი მის სულს. მსუბუქი იყოს მის გულზე დაყრილი მიწა.

მეგობრები

ეალმოსდილი

ცხოვრობდა ჩვენს ქალაქში, ქმნიდა, აშენებდა, მოძღვრავდა მომავალ თაობებს ღირსეულად.

მკლავმოუღლელი გარჯის ფასად მოიპოვა სახელი და დაფასება საზოგადოებაში.

სხვადასხვა თანამდებობებზე ნამუშევარი, მუდამ მებრძოლი, ენერგიული თავის სიტყვას ამბობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე.

შოთა შალამბერიძის ბიოგრაფიის პირველი ფურცელი გაზეთ „ავანგარდში” შეივსო. რედაქციაში მუშაობის წლებს სიამოვნებით იგონებდა. მეც ძველი „კოლხეთელი” ვაროიტყოდა ხოლმე. ერთერთ საიუბილეო პუბლიკაციაში აღნიშნავდა: „საოცრად ინტელექტუალური ადამიანების გარემოცვაში მოვხვდი, ბევრი რამ ვისწავლე გაზეთ „ავანგარდში” იმ პერიოდში მოღვაწე ჟურნალისტებისაგანო”.

შემდეგ თავად გახდა სხვათა მასწავლებელი და დამრიგებელი. მას არასოდეს ავიწყდებოდა რიგითი ადამიანი, თავისი თანამშრომელი, შრომითი კოლექტივის წევრი.

შოთა შალამბერიძე იხარჯებოდა, იღვწოდა არა ჯილდოსთვის, არა წოდებისათვის, (თუმცა არც ეს აკლდა), არამედ ადამიანთა კეთილდღეობისათვის. იგი ყოველ ადამიანში, ყოველ მოვლენაში სიკეთის მარცვალს ეძიებდა და აღვივებდა.

ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცმა შვილები კარგ მოქალაქეებად და სპეციალისტებად აღზარდა. მზრუნველი მეუღლე იყო, მოსიყვარულე მამა და ბაბუა.

რედაქციაში ხშირად შემოგვივლიდა, ომახიანად შემოგვძახებდა, სტატიას მოგვიწონებდა, ხან მისეულ აზრებს მოგვაწოდებდა

შოთა შალამბერიძის გარდაცვალება მტკივნეულია ნაცნობ-მეგობართა წრისთვის.

გვინდა მივუსამძიმროთ მის ოჯახს. ვალმოხდილი კაცის სულს ნათელში ამყოფებს უფალი.

„კოლხეთელები”

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33

სენაკის მუნიციპალიტეტის ამმენი და მერიაში ჩაცარიმული ღონისძიებები დასასრული

ღვთისმშობლის ხატები სენაკში

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სენაკის საკათედრო ტაძარში, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის ილია II-ის და კათოლიკოს - პატრიარქის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს ლოცვა-კურთხევით, აწყურისა და ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატები მოაბრძანეს. წმინდა ხატების მოლოცვითი მოგზაურობა ქვეყნის მასშტაბით, 2017 და 2018 წლებში საქართველოში საეკლესიო ავტოკეფალიის და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღებს და, უკანასკნელი 40 წლის მანძილზე, ჩვენს ქვეყანაში სულიერი ცხოვრების აღორძინებას ეძღვნება. წმინდა ხატებს მრევლი და სასულიერო პირები შეეგებნენ. მათი ტაძარში დაბრძანების შემდეგ, შესრულდა ღვთისმშობლის საკვედრებელი პარაკლისი. ხატები საკათედრო ტაძარში ერთი კვირის მანძილზე იქნება დაბრძანებული. ამ პერიოდში აქ ყოველდღიურად აღევლინება წირვა-ლოცვა და პარაკლისები, ხოლო სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში ჩატარდება ამ მოვლენისადმი მიძღვნილი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. წმინდა ხატებს, სენაკის საკათედრო ტაძრიდან ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში, 28 ივლისს, წირვის შემდეგ, 13 საათზე გააცილებენ.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან
ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური

მუნიციპალიტეტის საკრებულოში

შეხვედრა ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს ბადრი კალანდარიშვილსა და საბჭოს წევრებს, ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ელენე რუსეცკი და ექსპერტი გენდერის მიმართულებით მაია კუპრავა-შარვაშიძე შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი, სენაკის საკრებულოს თანასწორობის საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმის გამართვა და ინსტიტუციური აწყობა იყო. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული სამუშაოების გაცნობის შემდეგ, ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებმა, საბჭოს საქმიანობა დადებითად შეაფასეს და რეკომენდაციები გაუწიეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საბჭოს საქმიანობის გაზიარება შესაძებელია სხვა მუნიციპალიტეტებისათვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმის განხილვა, შემდგომ კი, განხორციელდება საკრებულოს გენდერული საბჭოს მიერ შესრულებული საქმიანობის მონიტორინგი. აღნიშნული შეხვედრა შედგა, გერმანიის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოში მუნიციპალურ დონეზე გენდერულ პოლიტიკას ახორციელებს.

ალექსი დემურია,
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი
საინფორმაციო საკითხებში

წარსულის ანალიმი

„ერთმა დადიანის ქალმა?..”

გაზეთი „კოლხეთი” აგრძელებს საინტერესო ისტორიული მასალების მოძიებას და ბეჭდვას. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ჩვენი თანაქალაქელის, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ლიტერატურული განყოფილების ყოფილი რედაქტორის, ჟურნალისტ ნანა ფაჩულიას კორესპონდენციას აფხაზეთის მკვიდრების, შემდგომში დევნილების-მერი და ციალა დადიანების ცხოვრებასა და მათ არქივში დაცული უნიკალურ მასალებზე.

წლების წინათ, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის, ლიტერატურული გადაცემისათვის, მოვამზადე სიუჟეტი: -- შოთა რუსთაველის გმირების პროტოტიპები და მათი შთამომავალნი.

სატელევიზიო სიუჟეტის მომზადებისას

დადიანების სასახლეში არ ცხოვრობდნენ გადაცემის გმირები: მერი და ციალა დადიანები. მათი ცხოვრება ისეთივე სევდიანი და ტკივილიანი იყო, როგორც სიმღერა: -- ერთმა დადიანის ქალმა...

როგორც ყველა ლტოლვილს, ერთი ოთახი ჰქონდათ ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელში. საუბრისას, ფიქრით ერთად „ვიმოგზაურეთ“ გულრიფში. ვიყავით ერთ მომხიბლავ, ქართულ სახლში, სადაც საქართველოსა და აფხაზეთის ცნობილი მწერლები და ინტელიგენციის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს.

დადიანები, მერი და ციალა დადიანების არქივიდან

გიორგი შერვაშიძე-ტარიელის პროტოტიპი

სახლს მხოლოდ დაიასახლისთა მომხიბვლელობა არ გამოარჩევდა, მას თავისი ტრადიციები და საინტერესო წარსული ჰქონდა, უამრავი ფოტო-სურათებით: გიორგი შერვაშიძის, ქეთო და ნინო წერეთლების, ბიძინა ჩილოყაშვილის და მიხაი ზიჩის, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად.

სახლი ხუთი ათას წიგნსაც ითვლიდა.

სოხუმის დაცემის შემდეგაც, არ დაუტოვებიათ გულრიფში ქალბატონებს მერი და ციალა დადიანებს, სადაც ისინი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოხვდნენ.

იფიქრეს, -- ჩვენ აქ ყველას ვუყვარვართ, დედის საფლავიც აქ გვაქვს და სად წაგვესვლებაო... მაგრამ, თვრამეტიოდე წლის აფხაზმა ბიჭებმა, მათ თვალწინ დაწვეს სახლი. ვედრებაზე – აქ, თქვენი წინაპრების სურათებიც არის, -უპასუხეს; -- ჩვენ მხოლოდ სამი კლასის განათლება გვაქვს ქალბატონო და არ ვიცნობთ, ვინ არიან!...

როგორც იტყვიან, იწვოდა ცხოვრების „შავ-თეთრი“ და მაინც გადასარჩენი გადარჩა. ზოგი რამ ალმოდებული სახლიდან გაჭირვებით გამოიტანეს ციალა და მერი დადიანებმა...

პეტერბურგში მყოფი მიხაი ზიჩი, საქართველოს სტუმრებია, ლერმონტოვის „დემონის“ დასასურათებლად. ეს შემთხვევა, შესანიშნავად გამოუყენებია ილია ჭავჭავაძეს და უთხოვია, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დახატვა.

1882 წელს, ქუთაისში, ქეთევან და ნინო წერეთლებმა (ისინი ქალბატონების მერი და ციალა დადიანების მამის ბებია და ბებიის და გახლავთ). სახელდახელო სცენა გამართეს და გიორგი შერვაშიძესთან ერთად „ვეფხისტყაოსანი“ დადგეს.

მიხაი ზიჩი და მეგობარი ქალბატონი მარი ეტლინგერი ამ სპექტაკლს ესწრებოდნენ და ქართველი ქალ-ვაჟებით იხიბლებოდნენ.

სპექტაკლმა მხატვარს უკვდავი პოემის და სურათების სტიმული გაუორკეცა.

სწორედ იმ დღეებში შეიქმნა ზიჩისეული ტარიელი, რომლის პროტოტიპი გიორგი შერვაშიძეა. შალვა დადიანს უთქვამს: -- ზიჩის მიერ დახატული „ტარიელი“, გიორგი შერვაშიძე – ნამდვილი ტარიელიაო.

ნესტან-დარეჯანის პროტოტიპები მერი და ციალა დადიანების ბებიები ნინო და ქეთო წერეთლები არიან.

საუბრისას, ქალბატონმა მერიმ ისიც მითხრა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პროტოტიპების შთამომავლები: ცნობილი პედიატრის, სენაკის საპატიო მოქალაქის, პაატა ქურდოვანიძის, მისი უმშვენიერესი დის მაიასა და აწ გარდაცვლილი თემურ ქურდოვანიძის დედა, ქალბატონი ნინა დადიანი არისო.

ამჟამად ნინო წერეთელი, მეუღლესთან ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთად ქაშუეთის ეკლესიაში განისვენებს.

ნესტან-დარეჯანის შთამომავლები – მერი და ციალა თბილისში ლტოლვილებისათვის გამოყოფილ ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. დადიანის ქალებს მათი გენის შესაფერისად მოურთავთ ოთახი: გადარჩენილი ფოტოებით, გადარჩენილი წარსულით, მშვენიერი „ნესტან-დარეჯანითა“ და ვაჟკაცური „ტარიელით“.

მახსოვს, მათი სამყოფელი სევდიანად დავტოვე, დადიანების ბოლო სიტყვებმა „გული დამიდარდიანა“: „გვენატრება გულრიფში, ჩვენი სახლი, ნამდვილი დადიანისეული ღობე, ვენახი“.

ნინო წერეთელი-ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი

P.S. მას შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა, ვიცი ქალბატონი ციალა გარდაიცვალა, მერი დადიანის შესახებ არა ვიცი რა. არც ის ვიცი, რა ბედი ეწია უნიკალურ ფოტოებს...

ნანა ფაჩულია

ქართული ცეკვა – მეოვე საოცრება

ანსამბლი „კუჩხიბედინერი“–განახლებული რეპერტუარი

არსებობს ღირებულებები, რომელთა გარეშე ერის, ხალხის, მისი ხასიათის წარმოდგენა არათუ ძნელი, არამედ წარმოუდგენელიცაა. სწორედ ასეთი მოვლენაა ქართული საცეკვაო ხელოვნება. ქართული ცეკვა - ქართველი კაცის არსებობის წესი, მისი სუნთქვა და მენტალიტეტის გამოვლენაა!

ხელოვნების და არა მარტო ხელოვნების სფეროში, ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც ისე უანგაროდ, ერთგულად, უშურველად იდგეს ჭეშმარიტების, ქართული ფოლკლორის დაცვის სადარაჯოზე, როგორც ზვიად გვასალია.

ამიტომაც მის შემოქმედებასა და საქმიანობას ერთი სიტყვით აფასებენ - პროფესიონალი! სწორედ ამ პროფესიონალმა კაცმა მოიარა ფეხდაფეხ მთელი თბილისი, რათა ჩვენი საამაყო თანაქალაქელი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ოქროს თაობის მოცეკვავე, საქართველოს დამსახურებული არტისტი, შალვა (ჯამუ) გარუჩავა გაეცნო და მის მიერ, 1999 წელს დაარსებული ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის ბატონი შალვას სახელი მიენიჭებინა. უდაოა, რომ შრომისმოყვარე, მიზანდასახული ქორეოგრაფი და მისი ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხიბედინერი“ დიდი კორიფეს სახელს ამართლებენ.

ბატონი შალვას სახელს ატარებს ზვიად გვასალიას მიერ დაფუძნებული ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალ–კონკურსიც, რომელიც არსებობის წარმატებულ სამ წელს ითვლის. არც წლევანდელი წელი გახლდათ გამონაკლისი.

ივნისში ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის სენაკის ორგანიზაციის კოორდინატორის, ქორეოგრაფიული სტუდია „კუჩხიბედინერის“ ხელმძღვანელის, ზვიად გვასალიას თაოსნობითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავის, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, შალვა (ჯამუ) გარუჩავას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების ფესტივალ–კონკურსი „კუჩხიბედინერი – 2018” ჩატარდა. მასში მონაწილეობა სამეგრელოს მხარეში მოქმედმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა მიიღეს.

ფესტივალ-კონკურსის ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, „ღირსების მედლისა“ და „ღირსების ორდენის“ კავალერი, „ქართული კულტურის ამაგდარი“, „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენისა“ და „რაინდის ორდენის“ მფლობელი, მსოფლიო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი რეზო ჭანიშვილი.

წევრები - საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის ოქროს თაობის მოცეკვავე, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, შალვა (ჯამუ) გარუჩავა; ლეგენდარული სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავე, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარეში, ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერი, საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდი თამაზ მოსია; საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე ქალაქ ფოთში, ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, გიგლა თურქია.

ფესტივალ-კონკურსის დასასრულს, საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარემ, რეზო ჭანიშვილმა შეაფასა წარმატებული ფესტივალ-კონკურსი, გამარჯვება და შემდგომი წინსვლა უსურვა გრან-პრის მფლობელ, პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ქორეოგრაფიულ ანსამბლებს.

ქორეოგრაფთა კავშირის სახელით ზვიად გვასალია ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენით დააჯილდოვა.

შემდეგ იყო კოლხურ-ლაზური ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ-კონკურსი „ლაზიკა - 2018“, რომელიც საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ფოთის ორგანიზაციის (კოორდინატორი გიგლა თურქია), ჯანო ბაგრატიონის სახელობის ქ. ფოთის ქორეოგრაფიული სტუდია „ლაზიკას“ თაოსნობითა

და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმართება. მასში მონაწილეობას საქართველოში მოქმედი საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლები ღებულობენ. 11 წელია სენაკის სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „კუჩხიბედინერი“ მრავალფეროვანი რეპერტუარითა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით ფესტივალ-კონკურსის შემადგენლობითი ჟიურისა და მრავალრიცხოვანი მაყურებლის აღფრთოვანებასა და გულწრფელ ოვაციას იმსახურებს.

11 წლის მანძილზე ანსამბლ „კუჩხიბედინერს” წილად ხვდა დავით ურთხმელიძის, ნინო რამიშვილის, ილიკო სუხიშვილის სახელობის დიპლომები და ლაურეატის წოდება. ამჯერად, ანსამბლს ჯანო ბაგრატიონის სახელობის დიპლომი გადაეცა და უკვე მეთერთმეტედ, „ლაზიკა - 2018-ის“, ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ასევე წარმატებული აღმოჩნდა 2 ივლისი... ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე „ჰარირა“ ამ კონკურსის ორგზის გრან-პრისა და რიზეს საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის მფლობელ ანსამბლ „კუჩხიბედინერს“ უმაღლესი ჯილდო - გრან-პრი ერგო.

9 ივლისს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში, თენგიზ სუხიშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსი გაიმართა.

ჟიურის თავმჯდომარე ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ დასის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი, ილიკო სუხიშვილი (უმცროსი).

წევრები - ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ დასის დირექტორი, გენერალური პროდუსერი, ნინო სუხიშვილი; დასის რეპეტიტორი, დავით უგრეხელიძე; „სუხიშვილების“ საბავშვო სტუდიის პედაგოგი, ჯიმი მამარდაშვილი; ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ დასის მოცეკვავე თამარ ელიოზიშვილი.

ანსამბლ „კუჩხიბედინერს“ აღნიშნული კონკურსის მესამე ადგილი ხვდა წილად.

ანსამბლის ქორეოგრაფისა და მოცეკვავეთა უბრალო მოძრაობებში, რითმში, სილაღეში ქართული სული ჩანს. მათი გამორჩეულობაც იმაშია, რომ თითქოს არაფრისგან ზეიმს ქმნიან - „როკვით განფენილი გენიის“ ზეიმს... აღტაცებული, სულშეგუბებული უყურებ და ბედნიერი ხარ... ხელოვნებას სხვა მისია არც აქვს! ყველას „თავისი სუხიშვილები“ უყვარს! ლეგენდარული სუხიშვილების შემდეგ მეც ჩემი სუხიშვილები მყავს და ისინი „კუჩხიბედინერელები“ არიან. ჩემი აზრით, ანსამბლი იმკვიდრებს თვალსაჩინო ადგილს ქორეოგრაფიაში, ჩვენ ტაშის დაკვრისა და „დანახვის“ მეტი რა დაგვრჩენია?!

თეა გრიგოლია

სპორტი

ტურნირი კარატეში

3-4 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა ბათუმის მე-6 საერთაშორისო ტურნირი კარატეში „OPEN BATUMI'' სადაც წარმატებით იასპარეზეს სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა: გუგუნავა ანდრია მე-2 ადგილი (2008-2009 წწ. -30 კგ.წ.) კატა. გუგუნავა გიგი მე-3 ადგილი (12-13 წწ.) კატა. თურქია ენვერი მე-3 ადგილი (+18წ.-75 კგ.წ.) კუმინტე. მწვრთნელი: ელგუჯა ჩემია.

ირაკლი დემურია მე-2 ადგილი (16-17 წწ.-76 კგ. წ) მწვრთნელი: გოგიტა გოგია

ტურნირი ძიუდოში

მიმდინარე წლის 6-8 ივლისს ხელვაჩაურში ჩატარდა, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რესპუბლიკური ტურნირი „ძიუდოში” 1999-2004 წწ. და 2005-2008 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების მოსწავლეებმა:ჭაავა დიანა I ადგილი (40 კგ.) ფარულავა მარიამი I ადგილი (24 კგ.), ხუნჯუა ნინო I ადგილი (32 კგ.), ჯგერენაია მართა I ადგილი (44 კგ.) სოლომონია სალომე II ადგილი (44 კგ.)კინწურაშვილი ანანო III ადგილი (28 კგ.) სოლომონია მარიამი III ადგილი (57 კგ.) მწვრთნელი: გელა ხარბედია.

6-8 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა, სოლომონ ფეიქრიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი „ძიუდოში” 2005-2006 წწ. და 2007-2009 წწ. დაბადებულთა შორის,სადაც მონაწილეობა მიიღეს სასპორტო გაერთიანების მოსწავლეებმა და დაიკავეს შემდეგი ადგილები: გულუა ალექსი I ადგილი 24 (კგ.), ჟიშკარიანი აკაკი II ადგილი (24 კგ.) ჩიქობავა ცოტნე II ადგილი (29 კგ.). მწვრთნელი : უჩა ჯღარკავა

ნუგზარ ძაძამია

განცხადება

2018 წლის 20 აგვისტოს დღის 12 საათზე ჩატარდება სენაკის რაიკოოპერატივის მეპაიეთა საერთო კრება. მისამართი: რუსთაველის ქ. № 164

დღის წესრიგი:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს მიერ გამოგზავნილი ხარვეზის № 18069840 18 ((16/ 07/2018) რაიკოოპერატივის ოქმი № 6-ში მითითებული ხარვეზების გასწორების შესახებ.

2. სენაკის რაიონული სამომხმარებლო კოოპერატივების წესდებაში / საწესდებო კაპიტალი/, -სახელწოდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. რაიკოოპერატივის ელ. ფოსტისა და მისამართის განსაზღვრა

სენაკის რაიკოოპერატივის გამგეობა